

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (4)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის აპრილის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 081 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.3% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.7% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.932 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. აპრილის თვეში დაფიქსირდა კლება წინა თვესთან (16.9%-ით), ხოლო ზრდა წინა წლის იმავე თვესთან (10.6%-ით) შედარებით.

2016 წლის აპრილის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 14.9%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 54.8%-ით შემცირდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 10.9%-ით გაიზარდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა უცვლელი დარჩა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.935 და 0.858 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. აპრილის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 047 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 50.2%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 854 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 45.4%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95.6% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 109 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 52 კოოპერატივი, 16 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 3 სააქციო საზოგადოება.

ა. წ. აპრილის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... აპრილი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... აპრილი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
აპრილი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	აპრილი	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3581	3972
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	109	109
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3690	4081
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.0	97.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.0	2.7
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-16.6	-14.9
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-35.9	-54.8
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-17.4	-16.9
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-12.6	10.9
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-6.8	0.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-12.4	10.6
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.843	0.935
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.858	0.858
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.843	0.932
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	1986	2047
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	2	0
კოოპერატივი	ერთეული	151	52
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1422	1854
სააქციო საზოგადოება	ერთეული	8	3
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	12	16
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	108	109
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	1	0
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. აპრილი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა		პროცენტი
		აპრილი 2016	აპრილი 2015	მარტი 2016
1	თბილისი	1641	17.4	-16.1
2	ბათუმი	243	3.4	-19.3
3	ქუთაისი	185	3.9	-16.3
4	რუსთავი	154	25.2	2.0
5	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	105	138.6	-16.7
6	მარნეულის მუნიციპალიტეტი	78	8.3	-13.3
7	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	63	18.9	5.0
8	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	63	8.6	-11.3
9	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	56	14.3	21.7
10	საჩხერის მუნიციპალიტეტი	56	75.0	-1.8

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

